## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## სხდომის ოქმი N7

27 აპრილი 2018 წელი

ქ.წალენჯიხა

**სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია**

**საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი:** დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ**: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, საკრებულოსა და მერიის თანამშრომლები.

**სხდომა დაიწყო:** 12:00სთ.
**სხდომა დასრულდა:** 12:55 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ დღის წესრიგით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებში მოითხოვა დროის დათმობა.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ.ნ თემურ ღვინჯილიამ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს წარმოდგენილი სახით.(განკარგულება N 5 ).

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 25 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი.

### დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მარტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;
   მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია–მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ
   მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: **გიორგი ლუკავა,** მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
   თანამომხსენებელი: **ბაკურ სონგულია,** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე
3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი სამართლებრივ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

მომხსენებელი: თენგიზ ფიფია- საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი

6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ

მომხსენებელი: **თენგიზ ფიფია-** საკრებულოს სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სს დანიშნულების მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეიმურაზ მებონია, მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მ/შ

8.სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2017 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: დავით სოსელია- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების შესახებ.

მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: თეა სარია, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი

გ) ინფორმაცია „ომუნეს ჯიხასთან“ დაკავშირებით.

მომხსენებელი: თემურ ღვინჯილია - საკრებულოს თავმჯდომარე.

**მოისმინეს: 2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გიორგი ლუკავამ .

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოითქვა გარკვეული შენიშვნები, მათ შორის:

ა)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში არ არის ასახული მერიის სტრუქტურაში შემავალი ცალკეული მხარჯავი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები. ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში საჯარო

განხილვის საგანია და ამიტომ თითოეული მხარჯავი ორგანიზაციის მიხედვით საბიუჯეტო პარამეტრების ასახვა ბევრად უფრო სრულყოფილს წარმოაჩენდა აღნიშნულ დოკუმენტს.

ბ)ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში არ არის ასახული ანალიტიკური დასკვნების გაკეთებისათვის აუცილებელი მაჩვენებლები, კერძოდ, გეგმიური განწერა, კორექტირებული (დაზუსტებული) და ფაქტიური შესრულების შედარების მაჩვენებლები, რათა უფრო ნათლად გამოვლენილიყო რესურსების მობილიზების ფაქტობრივი მდგომარეობისა და გეგმიური მაჩვენებლებისგან რეალური გადახრების გამომწვევი მიზეზები.

გ)მუნიციპალიტეტის წლიური ანგარიშიდან იკვეთება ბიუჯეტში ცვლილებების ხშირი შეტანის ტენდენცია, რაც არ არის ჯანსაღი საბიუჯეტო პროცესი და საჯარო ფინანსების მართვის კარგად ორგანიზებული სისტემა. პროგრამებს/ქვეპროგრამებს შორის ასიგნებების გადანაწილების სიხშირე და მასშტაბურობა მიანიშნებს ბიუჯეტის ფორმირების პროცესში ... ებულ ხარვეზებზე. თუმცა, მიუხედავად, ასეთი ხშირი ცვლილებებისა, 2017 წლის ბიუჯეტში ასახვა ვერ ჰპოვა საქართველოს მთავრობიდან სპეც. ტრანსფერით გამოყოფილი თანხების მოძრაობამ, რამაც გავლენა მოახდინა ბიუჯეტის შესრულების საბოლოო მაჩვენებელზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას და კონტროლს მოითხოვს მერიის შესაბამისი სამსახურებიდან.

დ) ყურადღება მისაქცევია, ანგარიშებზე არსებულ ნაშთის ცვლილებების დაფიქსირებაზე წლის დასაწყისსა და დასასრულში.

ე) იმის გამო, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების შედეგების , შუალედური შედეგებისა და შედეგების შეფასების ინდიკატორები არ იყო სრულყოფილად გაწერილი, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია არ იძლევა საშუალებას რეალურად შეფასდეს პროგრამის ფარგლებში გახარჯული საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანობა.

ვ)2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში მოცემული არ არის ინფორმაცია ს..ქწოდებლებთან გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების შესახებ. აქვე აღინიშნა ბოლო პერიოდში მერიის შესაბამისი სამსახურების, მიმდინარე პერიოდისათვის, აქტიური მუშაობა არსებული მდგომარეობის რადიკალურად გარდაქმნის მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი-3 ავთანდილ გაბელია, ნონა გუჩუა, ელგუჯა მესხია) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N6) .

**მოისმინეს: 3 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთ სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამადნატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება. (N19) .

**მოისმინეს: 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ზოგიერთი სამართლებრივ აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამადნატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება. (N20 ) .

**მოისმინეს: 5. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ხმათა უმრავლესობით (მომხრე 22 დეპუტატი, წინააღმდეგი -3 ელგუჯა მესხია, ავთანდილ გაბელია, ნონა გუჩუა) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 21) .

**მოისმინეს:6 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე საგზაო მოძრაობის ორგანიზების შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს სამადნატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება. (N7) .

**მოისმინეს: 7. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების (სს დანიშნულების მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.**

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა თეიმურაზ მებონიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ.ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი -არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 8)

**მოისმინეს: 8. სხვადასხვა.**

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის მიერ 2017 წელს განხორციელებული შესყიდვების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსმა დავით სოსელია.

აღნიშნული საკითხი საკრებულოს მიერ მიღებულიქნა ცნობად.

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულების შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ. საკრებულოს მიერ 2018 წლის ბიუჯეტის მარტის თვის შესრულება მიღებულიქნა ცნობად.

გ) ინფორმაცია „ომუნეს ჯიხასთან" დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილიამ საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წერილი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძეგლის „ომუნეს ჯიხას" თაობაზე, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს მიერ ძეგლის რესტავრირების საკითხის ხელახლა განხილვა ამ ეტაპზე საფუძველს მოკლებულია. მოსახლეობის სამართლიანი გულისწყრომიდან და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ხელთ არსებული დოკუმენტებისა და ფაქტებიდან გამომდინარე საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გაგრძელდეს სამეცნიერო კვლევები

ძეგლის თავდაპირველი იერსახის დადგენის მიზნით და საბოლოო შედეგის გარკვევამდე შეჩერდეს ყოველგვარი სარემონტო სამუშაოები.

საკრებულოს წევრმა ელგუჯა მესხიამ განაცხადა რომ  საქართველოს გაერთიანებული წყალომარაგების კომპანიის მიერ ეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში გაყვანილიქნა წყლის მილები , სამუშაოების შესრულების შემდგომ ეს გზა კომპანიის მიერ დატოვებულიქნა გადათხრილად . ელგუჯა მესხიამ  მუნიციპალიტეტის მერიას მიმართა  აღნიშნული საკითხის  შეესწავლა და კომპეტენციის ფარგლებში მოგვარება.

ასევე ისაუბრა კინოთეატრის შენობაზე რომელიც ახლახან იქნა რეაბირიტირებული გაჩნია ხარვეზები და მოითხოვა ამ ხარვეზების გასწორება.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე:                    თემურ ღვინჯილია